

# დიალექტიკები მოსწავლეთა მეტყველებაში და მათი აღმოფხვრის გზები სასკოლო განათლების საბაზო საფეხურზე

თეონა ზუბიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის  
დიდაქტიკაში განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით*

*პროგრამა: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის  
საენის/საენობრივი ჯუფის მასწავლებელი ( საენობრივი მიმართულება-ქართული  
ენა და ლიტერატურა )*

*სამეცნიერო ხელძღვანელი: ნათელა მაღლაკელიძე, ასოცირებული პროფესორი*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

შრომის სტრუქტურა

<b>აბსტრაქტი</b>	-----	3
<b>შესავალი</b>	-----	4
საკვლევი თემის აქტუალურობა	-----	4
კვლევის მიზანი	-----	5
საკვლევი ფაქტორები	-----	5
კვლევის მეთოდები	-----	6
კვლევის ობიექტი	-----	6
ჩატარების დრო	-----	6
<b>თავი.I დიალექტიზმები, ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართება (ლიტერატურის მიმოხილვა)</b>		
I.1. დიალექტის რაობა	-----	6
I.2. დიალექტთა წარმოქმნის მიზეზები	-----	8
I.3. ქართული ენა და დიალექტები	-----	10
I.4. ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში	-----	13
I.5. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტების ზოგიერთი თავისებურება-	-----	15
I.6. სალიტერატურო ენის რაობა	-----	18
I.7. სალიტერატურო ენა და დიალექტები	-----	20
<b>თავი.II საკითხის კვლევა მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში</b>	-----	21
<b>თავი.III ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი</b>		
III.1. დიალექტიზმებზე მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით	-----	29
III.2. სახელმძღვანელოებისა და პროგრამების ანალიზი (1989-2004)	-----	32
III.3. ამჟამად მოქმედ სახელმძღვანელოთა ანალიზი	-----	34
<b>თავი.IV მოსწავლეთა ფონური ცოდნის დადგენა დასკვნები და რეკომენდაციები</b>	-----	36
	-----	49

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს შერეული კვლევას, რომელიც შეეხება დიალექტიზმებს მოსწავლეთა მეტყველებაში და მათი აღმოფხვრის გზებს სასკოლო განათლების საბაზო საფეხურზე, კერძოდ, კასპის რ-ნ სოფ. დოესისა და სოფ. სასირეთის საშუალო სკოლებში. კვლევის მიზანს წარმოადგენს:

ა)საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის შესწავლა; ბ)ე.ს.გ-ის და სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი; გ)ამ კუთხით მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლა და დ)კვლევის შედეგად მეთოდური ხასიათის დასკვნების შემუშავება. საკვლევ ფაქტორებს წარმოადგენს: ე.ს.გ-მა, სასკოლო სახელმძღვანელოები და მხატვრული ტექსტები, სახელმძღვანელოში შესული დავალებათა ტიპები, საკვლევ საკითხი მეთოდურ ლიტერატურაში, მასწავლებელთა პასუხები, მოსწავლეთა პასუხები.

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს ჩატარდა შემდეგი სახის მეთოდური მუშობა:

ა)ჩატარდა საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა ანალიზი;

ბ)საკითხის მიხედვით გაანალიზდა ეროვნული სასწავლო გეგმა-ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი სწავლების საბაზო საფეხურზე, გაანალიზდა ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები;

გ)ჩატარდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანკეტირება;

ნაშრომში ასევე ცალკე არის წარმოდგენილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა ანკეტირების შედეგები. ნაშრომის დასასრულს დასკვნის სახით ჩამოყალიბდა შესაბამისი მეთოდური სტარტეგები.